კვირა, 1 ნოემბერი

ფასი 10 კაპ.

მათრახი

და სალამური

№ 21

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი



კოტეს სკოლა

(საგულისხმიერო მიბაძვა „ნუცას სკოლისადმი“)

მოხუცმა რეჟისორმა კოტემ სთქვა:

— ჩემს არტისტებს უთუოდ როლები უნდა ვასწავლოთ!

დასხა სტოლებსე, გადაუშალა როლები და უთხრა:

— ეს არის „შინი“, ეს არის „სინი“, ეს არის „ტინი“. ისწავლეთ გენაცვალეთ როლები, ისწავლეთო.

მართლა ისწავლიდენ არტისტები როლებსა, თუ ვერ?

„მასკა“.

ქართული თეატრი

არ იქნა, ქართულ თეატრსა
ღარაფერი ეშველა:
ხალხიც გულცივი გაუხდა
ძალაც ეცლება ნელ-ნელა.

დიდი ხანია ამ კითხვას
თავ სამტვრევს, სავალალოსა
გარს უვლის პრესა ქართული,
ვით ცხენი სალეწ კალოსა.
ხან იქ წაჰკრავენ, ხან აქა
მეგობარ-ჭირისუფალნი,
შემდეგ კი მიიძინებენ

,,ვალ მოხდილ'' თავისუფალნი.
გავა დრო, შეხვალ თეატრში,
მტერს გული გაუხარდება:
(ვერ ვიტყვი: ,,იმათ მნახველსა
თეატრი შეუყვარდება!'')
რა მხრითაც უნდა შეხედო,
ყოველგან ნაკლი ჯარადა,
უცქერი იმათ სატანჯველს
და ცრემლი დაგდის ღვარათა.
არც რეჟისორი რამეს გავს,
არც როლის ცოდნა ცოდნასა
მიხვრა მოხვრის დროს, არ იცი
როს შეგამთხვევენ ცოდვასა.
ფიქრობ: ეს ანუ ის პირი
სცენიდან გადიჩეხება!
ისეთი თავაზიანი
(აციან ხელის შეხება.)
და განა მარტო აქ თქმული
არის მიზეზი სხვა არა,
რომ ცარიელობს თეატრი,
როგორც უდაბნო სახარა?
რას ბრძანებთ, წვრილმან მიზეზებს
არ უჩანს დასასრულები:
მდიდრებს ქართული არ მოსწონთ,
ღარიბს არა აქვს ფულები,
თან გამგეობის წევრებიც
არიან დაკარგულები:
არ შესწევთ საქმის უნარი,
არც ცოდნა, არცა ცდილობა,
იმათ არ ძალუძს განკურნონ
ეგზომ დიადი ჭრილობა.
საჭირო არის უთუოდ
იმათი გამოცვლილობა,
,,შიში ვერ იხსნის სიკვდილსა,
ცუდია დაღრეჯილობა.''

—კი.

ეშმაკის ინტერვიუ.

პროვინციელ ბოქაულთან.

სახიფათოა ხოლერა, მაგრამ არა ნაკლებ სახიფათოა პროვინციელ ბოქაულთან შეხვედრა! რასაკვირველია ბოქაულიც არის და ბოქაულიც, მაგრამ თუ ბოქაული ამასთან ერთათ ,,პრისტავიცაა'' მაშინ ღმერთმა დაიფაროს მასთან შეხვედრისაგან ასრი ყოველი!

ღმერთმა მეთქი იმიტომ მოგახსენებთ, რომ ,,მათრახი ეშმაკისა'' აქ ვერავითარ მფარველობას ვერ გაგიწევთ.

საჭიროა აგრეთვე აღნიშნოთ, რომ ზოგ კაცს შესანიშნავი ზნე სჭირს, სახელდობრ ის ყველაფერს ურიგდება, მას ყველა ერთგვარ მოსწონს, ,,როგორც მღვდელი აგრეთვე მღვდლის ცოლიც''. მისთვის სულ ერთია მგელი და კრავი, ქორი და წიწილა, როგორც მაგალითად სულ ერთია ბოქაული და უწყინარი სოფლის მასწავლებელი.

ბედნიერია ამ ,,ყოვლის შემგუე'' ზნის პატრონი ადამიანი, თუ კი შეიძლება მას ადამიანი ეწოდოს!!

— ძლიერ მოხარული ვარ, ბ-ნო ზარბეგ (ასეთ საალერსო სახელს უწოდებენ ჩვენს ბოქაულს) თქვენთან გაცნობისა!

— ძალიან გმადლობთ. მეც არა ნაკლებ მესი ამოვნა თქვენი ახლოს გაცნობა, ბ-ნო ეშმაკო!

— რასაკვირველია! ჩემის აზრით რაც უნდა წმინდანი იყოს ბოქაული, ორი მესამედი მისი არსებისა მაინც ეშმაკს ეკუთვნის! მართალს ვამბობ, არა?

— სრული ჭეშმარიტებაااა! ჩვენ თუ ნამდვილი ეშმაკები არა, მისი ბიძაშვილები მაინც ვიქნებით! შეიძლება არც გსურთ ჩვენი ნათესაობა??

ამ კითხვასთან ერთათ ჩემმა ,,ბიძაშვილმა'' კარგა მოზრდილი მათრახი შეათამაშა ხელში და სამუდამოთ გადამიყარა გულიდან ყოველივე ,,ნათესაური უკადრისობა''.

— რასა ბრძანებთ, ბ-ნო ზარბეგ, რასა ბრძანებთ! ჩემის აზრით არა თუ მე, მთელს ჯოჯოხეთს შეუძლია თქვენი ახლო ნათესაობით იამაყოს.

— დიახაც, დიახაც! უნდა გამოგიტყდე ამხანაგო ეშმაკო, რომ ძლიერ მიყვარს მათრახის ხმარა. ის ჩემი ორგანიული ნაწილია, გესმის ორგანიული. უფრო ადვილათ ავიტან მარცხენა ხელის მოკვეთას, ვიდრე მარჯვენა ჩემი მათრახს შეელიოს.

— ხუმრობთ? მე ვერ წარმომიდგენია როგორც ბოქაული, უმათრახოთ, აგრეთვე ხორცსხმული მათრახი უბოქაულოდ! უიმისოდ ან კი რა უნდა გაკეთოთ სოფლად!

— სოფლად? რას ამბობ კაცო! უბრალო ჩხირს ვერ გადააბრუნებთ, თუ გზის გასაწალდავათ წინ მათრახი არ მიგიძღვის.

— კარგი მათრახი გაქვთ?

— შენსას არ ჩამოუვარდება და ისე სხვებს შეიძლება უკეთესიც ჰქონდეთ.

— მერმე რატომ გგონიათ, რომ თქვენი მათრახი ჩემსას სჯობია?

— როგორ თუ რატომ? იმიტომ რომ მე ამის საშვალებით ათასგვარ სახალხო საქმეს ვაკეთებ: გზები გამყავს, გადასახადებს ვკრეფ, დამნაშავეს ვსჯი, ურჩს ვიმორჩილებ, გიჟს ვაჭკვიანებ, მშიერ ვაძღობ, მაძღარს ვამშევ, უღვთოს ვალოცებ... ერთ

სიტყვით, რას იტყვის კაცის ენა ისეთს, რომელსაც ჩემი მათრახის ნუსხა არ ასრულებდეს. შენ კი რა? შენი მათრახი სიტყვაა, ქარს მიაქვს; ჩემი მათრახი ძალაა, განხორციელებული ენერგია, მას სტრაჟნიკები დაატარებენ.

— არც ეგრე არის საქმე, ბატონო ზარბეგ. მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო შესახებ თქვენი მათრახის ძლიერებისა, მაგრამ ნურც ჩვენ დაგვამცირებთ ეგზომ. ჩვენი „მათრახი" რა საკვირველია არ არის მაგდენათ ძლევა მოსილი, მაგრამ მას სხვა უპირატესობა აქვს. აი მაგალითად: თქვენი მათრახი ზურგს, თავს, ფეხებს, ხვდება ერთი სიტყვით ადამიანის „ოკრაინებს" ეხება, ჩვენი კი პირდაპირ გულს ხვდება...

— ხე... ხე... ხე.. ე.. ე!. ეგ ვითომ რაო? გულისთვის ჩვენ სხვა მოწყობილობას ვატარებთ. აი იხილეთ... „ბაყაყ-!" შესძახა ბოქაულმა და უეცრივ შემოიჭრა ერთი სრულიად მსგავსი ბაყაყისა ქმნილება. ეს გახლდათ ბოქაულის საყვარელი სტრაჟნიკი, ყვითელი პატრონებით ყელთამდე შელესილი.

— აბა უჩვენე ამ სტუმარს მაშინა, რომლებითაც ჩვენ ადამიანთა გულებს ვიმორჩილებთ.

„ბაყაყი" ჯერ გაწითლდა, შემდეგ გაყვითლდა და ალბათ კიდევ რამოდენიმეჯერ იცვლიდა ფერს რომ ზარბეგს მოთმინება არ გასწყვეტოდა.

— შე ვირო, ვერ მიხვდი რას გეუბნები? გადმოიღე თოფი!

— ნუ სწუხდებით ბ-ნო ზარბეგ, განა მე არ ვიცი, რომ ქვეყანაზე არსებობს თოფი და ტყვია?!!

— მაშ თუ იცი რაღა შენი მათრახით გვეჩხირები!

— უკაცრავად! მე მეგონა მათრახებზე გვქონდა ლაპარაკი...

— მე, ბ-ნო ეშმაკო, ფიცხი აგებულობის ადამიანი ვარ. უნდა გამოგიტყდე, რომ ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს. პირიქით, ლაპარაკი დროს დაკარგვათაც მიმაჩნია. საქმის დროს საქმე უნდა და უმათრახოთ საქმე ვის გაუკეთებია.

— ცოდო იქნება თქვენ ამ მხრივ ადამიანმა უმოქმედობა გისაყვედუროს, ბ-ნო, მაგრამ მეც ჩემ და თვად იმის თქმა მინდოდა, რომ არც ჩემი მათრახია სრულიად უსარგებლო. მაგალითად თქვენი კურხეული მათრახი...

— უკაცრავად, სიტყვამ მოიტანა და შეგაწყვეტინებთ, რაც შეეხება კურთხევას, ჩემი მათრახი მართლაც რომ კურთხეულია. ჩემს საბოქაულოში სულ ყველა მღვდელი ლოცვა კურთხევით იხსენიებს მის სახელს და განა არ ემართლებიან?

— ვითომ რატომაო?

— იმიტომ რომ, თუ არ იმისი ძლიერების მეოხებით, სხვით რით შესძლებდენ ამ ექვსი წლის მიყრუებული დრამა ფულების განაღდებას?

— ჰოოოოო! კინაღამ დამავიწყდა. თუ საქმე ეგრეა რაღა თქმა უნდა ლოცვა კურთხევას არ მოაკლებდენ. მაგრამ ჩემი მათრახის უპირატესობა, თქვენის წინაშე კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ჩვენი მათრახი ერთსა და იმავე დროს რამოდენიმე კაცს ხვდება, ანუ ანდაზის თქმისა არ იყოს „ერთი მოქნევით რამოდენიმე კურდღელს კლავს".

— ძალიან კარგი, მაგრამ ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. თქვენ სამაგიეროთ ერთი მათრახი გაქვთ და ჩვენ კი უთვალავი.

— ესეც მართალია! ან კი რაღა ამ მათრახზე ლაპარაკს შევაკვდით. განა სხვა სასაუბრო დაგველია?

— რასაკვირველია, ბ-ნო ეშმაკო, აკი წეღან გითხარი, რომ მე ლაპარაკი დროს დაკარგვათ მიმაჩნია: სადაც საქმეა საჭირო, იქ საქმე უნდა.

— სხვა როგორ ატყობთ ქვეყნიერობის ამბავს? ვგონებ ჩადგა ძველ კალაპოტში ჩვენი სოფლის ცხოვრება, არა?

— რას ამბობ, არა თუ კალაპოტში, (მისი კალაპოტი მათრახია.) კალაპოტი რას მიქვია, ისეთ კალაპოტში მყავს ჩაჭახრაკებული რომ, ცოცხალ *ერსებას კი არა, ქვასაც წვენი დაედინება.

— მიკვირს როგორ ახერხებთ ამას?

— ეს ადვილი საქმეა, ბ-ნო ეშმაკო, მხოლოდ სხვაფრივ ვერ არის საქმე სავარგისად.

— როგორ, რა მხრივ?

— ისე... როგორ აგიხსნა ალარც კი ვიცი. ჩვენებურათ რომ ვთქვა ხალხი გაკლიაოზნიკდა, მოთმინება დაეკარგა, უფროსის პატივისცემა დაავიწყდა.

— როგორ, გამოსარჩენი ხომ არ მოგაკლდათ?

— არა, მარტო გამოსარჩენზე ხო არ არის საქმე.

— მაშ?

— მაშ ისა, რომ უწინ ყველაფერს თითქო პატივისცემით შევბოდენ, ისე ტკბილათ, მეგობრულათ. ახლა კი მხოლოდ შიში აყუჩებს. ჩემს მათრახს რო ცოტათი ძალა შეელიოს შენი მტერია!..

— ეგ თქვენთვის ხომ თითქმის სულ ერთია: გუშინ სიყვარული იყო, დღეს ძალით არის! უბედურება ის იქნებოდა გამოსარჩენი რომ სრულიად მომსპარიყო.

— რას ამბობ შე დალოცვილო! გამოსარჩენი რომ მოისპოს ჩვენზე უბედური უკანასკნელი გლეხიც არ იქნება

— ხუმრობის გარეშე რა გაქვთ ჯამაგირი პროვინციელ ბოქაულებს?

— ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები. მე მაგალითად სულ რაღაც 70 მანეთი მაქვს თვიურათ.

ამ სიტყვებზე ზარბეგმა თავი ჩაღუნა და ვერ

დავინახე გაწითლდა სახეზე თუ არა. ტყუილ სიმართლე იმისი ამითი მინდოდა შემეტყო.

— ძლიერ ცოტა ყოფილა თქვენ მზესა ვფიცავ!

— რასაკვირველია ცოტა. განა მთავრობამ არ იცის, რომ ეს ჩვენ არ გვეყოფა, მაგრამ იმედი აქვს სხვას ¿ამო!არჩენით იშოვისო.

— ექვს ვარეშეა ეცოდინება. როგორ არ ეცოდინება, როცა თავისი თვალითა ხედავს სამი-ოთხი წლის სამსახურის შემდეგ რამდენ უძრავ-მოძრავ ქონებას იძენენ ხოლმე უბრალო ბოქაულები!

— იცის, რასაკვირველია იცის

— აი ამ ორი წლის წინეთ აქეთ ერთი ბოქაული მოკლეს.

— ოჰ!

— დიახ მოკლეს. ქვრივმა დახმარება ითხოვა, დანიშნეს გამოძიება და გამოირკვა, რომ განსვენებულისაგან მის ქვრივ მეუღლეს ორმოცი ათასი მანეთის ქონება დარჩენია.

— აი ბიჭობაცა და ოჯახის სიყვარულიც ამას მიქვია.

— მე მფლანგველი ვარ, ჩემი პატარაები არ მახსოვს, თორემ განა იმაზე ნაკლები შემოსავალი მაქვს?

— მერმე რისთვის დგებით ცოლშვილის ცოდვაში?

— რა ვქნა! ვერაფერი ვერ მოვუხერხე ჩემს თავს. წარმოიდგინე, ერთხელ ისე მაგრათ გადვიკარ მათრახი, რომ სამი კვირე ზურგი მეწოდა. პატარა ხანს ქე დავანებე თავი ქეიფს, ბოლოს ისევ გამიტაცა.

— თქვენ მაინც საკმაო ადგილ მამული შეგიძენიათ ამ ოთხ ხუთ წელიწადში, ბ-ნო ზარბეგ და ჩემი აზრით თავს მაინცა და მაინც არ უნდა ემდუროდეთ.

— არა, არც ისეა საქმე, რომ თუ ეს ჩინებული დრო წახდა, შავი დღისათვის ოჯახი შიმშილით გამიწყდეს, მაგრამ მეტი ვის მოსჭარბებია?

— კარგი, მაგრამ დრო რომ გაუკულმართდეს და რევიზია დაგინიშნონ?

— მერმე რა? დანიშნონ.

— რომ იკითხონ ეს ამოდენა სიმდიდრე საიდან შეიძინეო?

— გიჟი ხომ არ ხარ! რაც ქვეყანა გაჩენილა მას შემდეგ არავის უკითხავს და რაღა ჩემზე. გამოტყვრება ასეთი ღვთის წყრომა?

— ვთქვათ გამოტყვრა და იკითხეს.

— არა, ეგ შეუძლებელია, ვინ უნდა იკითხოს.

— წარმოვიდგინოთ ისე დაილუპა დროება, რომ იკითხეს. რას იტყვით მაშინ?

— მთავრობის მოხელე მაგას არ იკითხავს და ჟურნალ გაზეთებს ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ.

— როგორ არ იკითხავს, ძალიანაც იკითხავს. მოსკოვის გუბერნიის ქ. პარიჟში სამი ბოქაული დაატუსაღეს სწორეთ ამ საქმეზე. ეს კიდევ არაფერია, ლონდონის გუბერნიაში ხარკოვის მახლობლათ და ქალაქ ბერლინში ბაქოს მახლობლათ ხუთ-ხუთი წლის კატორღა გადაუწყვიტეს ბოქაულებს იმავე მიზეზისათვის.

სხვა დროს გულადი და ფიცხი აგებულობის ზარბეგი შიშის ქარმა აიტანა. მართალია მას არც ერთი აღნიშნული გუბერნია ქალაქი არ გაეგონა, მაგრამ გუბერნიები ხომ არ აინტერესებდენ. საინტერესო ჩემ მიერ მოგონილი ახალი ამბები იყო და აკი ამ ამბავთა საშინელებამ დასცა თავზარი.

— ეს კიდევ ნამცეცია იმასთან შედარებით, რასაც მომავლისთვის უმზადებს მთავრობა მექრთამე მოხელეებს და მათ შორის ბოქაულებსაც რასაკვირველია. კრიტოსის გუბერნიის უფროსი ათის წლით გადაასახლეს ენისეის*) გუბერნიაში. ნიპონის მაზრის უფროსს ყველაფერი გაუყიდეს საჯარო ვაჭრობით და თითონ კატორგაში გაგზავნეს. მერე არ იკითხავთ რისთვის?

— ჰო, რისთვის?..

— სულ უბრალო საქმეზე: ერთი გლეხისათვის სამი აბაზი გადაეხდევინებია, მხოლოდ სამი აბაზი. მაგრამ ეს კიდევ არაფერია; აფრიკის გენერალ გუბერნატორს ბარონ მუცუ-ხიტოს სამი ბოქაული პირდაპირ ჩამოუხრჩვია ქრთამებისათვის. ავსტრალიის მაზრაში როსტოვის მახლობლათ, ერთი ბოქაული კიდევაც.....

— მიშველეთ!.. მიშ...ვე....ლე...

ბოქაულს გული შეუწუხდა. საბრალომ სიმართლეთ მიიღო ჩემი ოინები და დაასკვნა: დღეს თუ არა ხვალ უთუოდ მიზამენ რევიზიას; მკითხავენ: შენ თუ კაი კაცი ხარ, ასეთი პატარა ჯამაგირით ასეთ მოკლე დროში როგორ მოახერხე ამდენი ქონების შეძენაო. ველარ გაუძლო მოსალოდნელ უბედურებას და ბარბაცით მიეყრდნო გრძელ სკამეიკას. ამ ამბავმა ერთი ალიაქოთი გამოიწვია.

მეც მეტი გზა არა მქონდა ინტერვიუს დასასრული ზარბეგის გონზე მოსვლის დროსათვის გადამედო.

ეშმაკი.

---

*) უნდა გამოგიტყდეთ, რომ გეოგრაფიიდან ბოქ. ზარბეგმა მხოლოდ პეტერბურგი, მოსკოვი, ადესსა და აგრეთვ ჩრდილო-ციმბირის გუბერნიები იცის. ეს უკანასკნელნი მ[ა]შემდეგ შეისწავლა, როცა მისი საბოქაულოდან მრავალ გლ[ე]ხობა გადაასციმბირეს.

ეშმაკი.

* * *

დაარტყი ლომი! დაჰკარ ჩაქუჩი!
თან გააღვივე მკლავებში ძალა,
გრძნობამ იფეთქა გული ატოკდა,
სევდა-ნაღველი ამოიცალა...
ვიშ, ამ ნეტარ წუთს! ჟამს, საოცნებოს,
გრძნობა და ძალა როს ერთდებიან,
არეს მიარღვევს ბრძოლის ყიჟინა,
ქვეყნის ორგულნი შიშით სდნებიან!..
დაარტყი ლომი!.. ჩამოანგრიე...
დაჰკარ ჩაქუჩი!.. აქ ავაშენოთ!
და სანამ ტაძარს არ მოვასრულებთ,
გმირი მკლავები არ შევასვენოთ!
დაარტყი ლომი!.. დაჰკარ ჩაქუჩი!..
გაიორკეცე მკლავებში ძალა:
იფეთქა გრძნობამ, ატოკდა გული,
სევდა-ნაღველი ამოიცალა...
დეე, ცამ გვტყორცნოს რისხვის ისრები,
ირგვლივ აბრძოლდეს ქარი, საზარი,
ნუ შევისვენებთ, სანამ სრულიად
არ ავაშენოთ ჩვენი ტაძარი!..
დაარტყი ლომი!.. დაჰკარ ჩაქუჩი!..
იქ-დავანგრიოთ... აქ-ავაშენოთ...
და სანამ მიზანს ჩვენ არ მივაღწევთ,
გმირი მკლავები არ შევასვენოთ!..

* * *

ირგვლივ ბაღია... შვაში ტაძარი.
მორწმუნე ხალხი შედი-გამოდის ..
რათ უნდა ტაძარს ხატი და ჯვარი?!
აქ ხშირად ცით თვით ღმერთი ჩამოდის!..
კაცთ შორის მართავს ღვთიურ საუბარს
„ძმობა“-„ერთობა“-,,სიყვარულზედა‘‘,
ხან ,,ჩვენს დროზედაც‘‘ სიტყვას გადამოჰკრავს,
ვით სამწუხარო შორს წარსულზედა...
მუნ აღარ ისმის ბრძოლის ყიჟინა,
მწყობრათ ურტყამენ მსუბუქ ჩაქუჩებს,
აქ ვერა ჰხედავთ ბნელ სარდაფებსა,
ცრემლით და სისხლით მოლიპულ ქუჩებს...
ოფლს კი შენიშნავთ... ყველას სახეზე
აღბეჭდილი აქვს იმისი დაღი...
მათ თავს დაჰყურებს. . . . . .
შრომის ემბლემა და ბაირაღი!..

ნ. ზომლეთელი.

სამკურნალოში

სურათი მეორე

მოქმედება სწარმოებს ექიმის კაბინეტში. პატარა ოთახია, შუა ადგილას დგას სტოლი რომელზედაც წიგნები აწყვია. იქვე რამდენიმე ჩალის სკამია ჩამწკრიებული, ხელ მარჯვნივ თარო დგას წიგნებით სავსე. მარცხნივ კუშეტკა და იარაღის შკაფი. კედელზე სურათები ჰკიდია. კაბინეტში სხედან: ბებია ქალი, ექიმი და ფერშალი.)

ექიმი. (მიუბრუნდება ფერშალს, თან ხალათს იცვამს). რა ქენით წუხელის, სიმონ პეტროვიჩ, მოიგეთ თუ წააგეთ?

ფერშალი. (უკმაყოფილოთ) დასწყევლოს ღმერთმა, რუსები რომ იტყვიან. „Не везетъ“ ჩემი საქმე სწორეთ ისრე არის, წარმოიდგინეთ თხუთმეტი მანეთი წავაგე.

ბებია ქალი. (სინანულის კილოთი.) რა ამბავია, სიმონ პეტროვიჩ, რომ სულ აგებთ და აგებთ, როდისღა უნდა მოიგოთ?

ფერშალი. როგორც ვატყობ არას დროს.

ექიმი. (სიმონ პეტროვიჩ, თქვენ სულ არ იცით თამაში. (ბებია ქალს) წარმოიდგინეთ ნინა პავლოვნა, ისეთი რისკით თამაშობს, თითქოს ნიუ-იორკის ბანკირი იყოს და ამასთანვე ძალიან ღელავს. სულის სიმშვიდე კარტში პირველი საქმეა.

ფერშალი. თქვენ რაღა ქენით? მგონი დიდხანს გითამაშნიათ ჩემს შემდეგ, არა?

ემიმი. გავათენეთ! რაც შეეხება მოგებას ჩვეულებრივი იყო.

ბებია ქალი. (ღიმილითა და ალერსით.) Значить выиграли?

ექიმი. (ამაყათ). Также, также. უიმისობა როგორ იქნებოდა, მთელი ღამე გავათენეთ.

ფერშალი. (შურიანათ). თქვენ ისე თამაშობთ, რომ არადროსაც არ წააგებთ და ქაღალდიც ძალიან მოგდით.

ექიმი. რას ვიგებ ძმაო, აქ მოგებულს ფულს, ერთი კვირის წვალებას, ქალაქში ერთ საათში ამოგაშხამებენ ხოლმე. წასულ კვირას, რომ ვიყავი შვიდი თუმანი წავაგე ხელათ. (შემოდის მოსამსახურე და აცნობებს, რომ ავათმყოფი სწუხს და სთხოვენ, მალე მიიღოს.)

ექიმი. (რისხვით) შენ ეგ მატრაკვეცობა ვერ მოგაშლევინე? მოიცადოს, არა მცალიან, ხომ ხედავ საქმე მაქვს!

მოსამსახურე. (წყენით) ჩემი ბრალი რაშია, თუ არა გგჯერათ გამობძანდით და თქვენ თვითონ ნახეთ.

ექიმი გამოვალ თუ არა, ეს ჩემი საქმეა, შენ გადი და როცა დაგიძახო მაშინ შემოდი. წადი! (მოსამსახურე გადის) შეხედეთ როგორ გათამამდა!

ფერშალი. წარმოიდგინეთ სახელი დაუგდია; ფერშალი ვარ და მალე ექიმობას მივიღებო. გლეხებს მართალი ჰგონიათ და ყველანი მაგასთან მიდიან წამლისთვის. ზოგს ქათამი მიჰყავს თურმე, ზოგს რა და რა. ეგეც აქედან წაღებულ პარაშოკებს

ურიგგებს და სახელათაც „ფერშალი სამსონი.“ დაურქმევიათ

ექიმი. დათხოვნას ვაპირებ, რას იტყვით?

ბებია ქალი. ძალიან კარგს იზამთ; აქაოდა მდიდარი ქალი ვითხოვეთ ძალიან ამაყობს და პასუხსაც აღარ იძლევა.

ფერშალი. (გაკვირვებული.) როგორ, დაინიშნა?

ექიმი. არ გაგიგიათ განა? ისეთი სასაცილოა მაგის ისტორია.

ფერშალი. (ცნობის მოყვარეობით) ერთი მიამბეთ, თუ შეიძლება დავიდ მიხეილიჩ.

ექიმი. პროიმის შემდეგ, ეხლა დაგვიანდა. (შინ ჯავს საათს). უკვე ათი საათი სრულდება.

ფერშალი. (ხვეწნით). თუ შეიძლება დავიდ მიხეილიჩ, არ დაგვიანდება, რომ ეხლა არ გავიგო ვეღარ ვიმუშავებ.

ექიმი. მაშ კარგი გეტყვით. ჩვენი სამსონი დანიშნულა სოფ. ს—ში თუ გახსოვთ ერთათ, რომ ვიყავით ეპიდემიის დროს მდიდარ გლეხთან.

ფერშალი. (ჩაფიქრდება). მახსოვ როგორ არა.

ექიმი. იმის ქალზე დანიშნულა, მართლა ქალი რომ ძაღია ლამაზია ხომ შენცა ნახე. (ფერშალი შეკრთება რადგან ის ქალი თვითონ ჰყავდა სახეში) რასაკვირველია თავისი თავი უფროს ფერშალათ განუცხადებია. სიმამრიც თურმე ძალიან გახარებულია, რომ დოხტური სიძე იშოვა და იკადრა იმისი ოჯახი. სოფელში მოუდვიათ ამბავი. რომ ნიკოს ქალი დოხტურმა დანიშნაო. საღამოთი მისულან ავათმყოფთან წასაყვანათ, მარა უარი უთქვამს: „დაღლილი ვარ,“ აქ მოიყვანეთო. მიუყვანიათ თურმე და დაუწყია შინჯვა. სტეტესკოპიც ჰქონია, ყველას დაჰპირდა, თურმე რომ წამალს გამოგიგზავნითო. შინჯავდა თან უბის წიგნში იწერდა ტყუილათ და ხმა მაღლა ლათინურ დამახინჯებულ სიტყვებს ამბობდა. (აჯავრებს). „ცინცი,“ „ოლაიმ ოლივარიმ,“ „ქინინ“ და სხვა ბევრს თურმე. ამით ყველანი დარწმუნდნენ, რომ სამსონი ფერშალია (იცინის). აი ოინბაზი! (ყველანი იცინიან). მე კიდევ ვერ ვასურათებ, მღვდელი ძალიან კარგათ აჯავრებს. (ფერშალი ადგება, უნდა გავიდეს ავათმყოფთა დასაძახებლათ, მარა უცებ კარები გაიღება და შემოდიან. მღვდელი, ადგილობრივი მამასახლისი, კნიაზი ოთარი, სამკურნალოს სახლის პატრონი და ორი ვაჭარი. მიესალმებიან ერთმანეთს და დასხდებიან ყველანი, კნიაზის გარდა.)

ექიმი. დაბრძანდით კნიაზ.

კნიაზი. (თავს იქნევს.) არა, ცოტა საქმე გვაქვს მალე უნდა წავიდეთ.

ექიმი. საით მიეშურებით?

კნიაზი. (ღიმილით). დაგპატიჟებდით მარა რო არა გცალიანთ. მარანში მწვადები გვაქვს.

ფერშალი. მართლა? კარგია ამ დილით!

კნიაზი. წამობძანდით.

ფერშალი. (უკმაყოფილოთ). აქა?

კნიაზი. მაშ მალე გაათავეთ და თქვენთვისაც იქნება. მხოლოდ იცით რა უნდა გითხრათ? (ხელებს გაატკაცუნებს) დღეს ვითამაშოთ ჩვენი ბაქარა თუ არა?

პირ ვაჭარი. (ღიმილით) ვაჰ,—კნიაზ მადა გაგეხსნათ მოგებისა?

ექიმი. უსათუოდ ვითამაშოთ, სიმონ პეტროვიჩიც ითამაშებს (ფერშალი თავს დაიქნევს თანხმობის ნიშნათ.)

მამასახლისი. ეხლა მაგის ჯერია მოგების, თორემ სულ აგებს.

კნიაზი. რა უშავს ხალასტოი კაცია, რათ უნდა ფული!

პირვ. ვაჭარი. (შიშით). ვა! როგორ არ უნდა სულ, რომ კარტში წააგოს თითონ?

მღვდელი. (ღიმილით) სწორეთ თქვი გეურქ, მაგის ჯავრი უფრო გაქვს თუ იმისი, რომ დანახარჯს ვეღარ გაგისწორებს?

პირვ. ვაჭარი. მამაო! თვენ ვიღას ეუბნებით, რომ დღე და ღამე იმაზე ფიქრობთ როდის დაიწერს ჯვარს, ერთი ოცი მანეთი წააგლიჯო.

ფერშალი. რა გაჩხუბებთ, ჯერ ხომ არ მოძკვდარვარ, რომ ქურქი გაიყოთ? მაგას თავი დავანებოთ და ახალი ამბავი იცით? (ყველანი გაკვირვებით უცქერიან) ჩ ენი სამსონი ცოლს ირთავს და...

კნიაზი (იცინის) ვიცი-ვიცი, ძალიან მოხერხებულათ მოქცეულა, მთელი სოფელია და სამსონი. აქამდის უნდა მეთქვა დამავიწყდა, ახლა «ცინცი“, უნდა დავარქვათ. (ყველანი იცინიან).

პირ. ვაჭარი. ვა! იცით თურმე რა მზითებს იღებს? (თავის ამხანაგს) მიხაკ? ის მზითევი, რომ ჩვენგან იყიდოს იცი რა ფული გავარდება?

მეორე ვაჭარი (გაკვირვებით). მაშ ვისგან უნდა იყიდოს?

პირვ ვაჭარი. ქალაქში წავლენ. (კნიაზი ხელს დაჰკრავს ზურგზე ვაჭარს.)

კნიაზ . რადროს ვაჭრობაა თქვე ოხრებო, ადე წავიდეთ მწვადები მზათ იქნება. (ექიმს) მაშ ეგრე, ექიმო, ვთამაშობთ?

ექიმი. უეჭველათ, უეჭველათ, მაგრამ ვახშამი ვისი ჯერია?

კნიაზი. თქვენი, წუხელ ხო ჩემთან იყავით, ჩემს მერე—კი თქვენი ოჩერედია.

ექიმი. ძალიან კარგი, ეგრე იყოს. (ემშვიდობებიან წასასვლელათ ამ დროს კარები გაიღება და შემოდის მძ-მე ავათმყოფის მამა. აღელვება ეტყობა.)

მამა. (აღელვებული). ბატონო დოხტურო! თუ მოგვცემთ წამალს მოგვეკი, თუ არა გვითხარი მაინც წავიდეთ. დილას აქეთია აქა ვართ და ავათმყოფს სამჯერ შეუწუხდა გული.

ექიმი. (გაჯავრებული). მიბრძანდი, ხელს არავინ დაგიჭერს. რახან შენ თვითნებობაა გასწიე, მე შენს ავათმყოფს არ გავშინჯამ, წადი!

მამა. (უფრო ღელდება). მაშ რა დოხტურები ხართ, თუ წამალსაც არ მომცემთ, ვისთვისა ხართ აქა?

ექიმი. (ყვირის). გადი აქედან, თორემ ემსაათში გაჩვენებ ვისთვისაცა ვარ. (მივა ხელს დაუჭერს) წადი.

მამა. (დამშვიდებით) ავათმყოფი მიკვდება, ლამის არის ცეცხლზე წყალი დამესხას რა უყო, ორმოცი ვერსი გამომივლია, უკან როგორ წავიდე.

ფერშალი. წადი ძმაო, მიგიღებთ; ხომ ხედავ საქმე გვაქვს. (კარს გაუღებს, ავათმყოფის მამა ბურტყუნით და ლანძღვით გადის.)

ექიმი. ყური უგდეთ, ილანძღება!!

კნიაზი. (დაყვავებით). არა ღშავს რა გლეხია, არ ესმის. (ამ დროს ბებია ქალი, წამოდგება და გადის, მარა ისევ მალე უკან ბრუნდება გაფითრებული).

ბებია ქალი. (აღელვებული). დავიდ მიხეილიჩ, ავათმყოფს გული შეუწუხდა, კვდება, უშველეთ ჩქარა. (ყველანი ჩქარა გადიან).

ექიმი. (შიშით). ჩქარა ვალერიანი, კამფორა, წყალი, (ავათმყოფს მაჯას უშინჯავს, მარა უკვე მკვდარია. დედა თმებს იგლეჯს, ისმის აქეთ იქითგან ლანძღვის სიტყვები. მოხუცი ავათმყოფი ხელცახოცით თვალებს იწმენდს და წამოდგება წინ).

მოხუცი. (ექიმს). თქვენ მოკალით ეს, ღმერთს გაეცით პასუხი უსამართლონო, უსვინდისონო. (ტირის). არ გებრალებათ არც საწყალი, არც ავათმყოფი. მუქთათ იღებთ ჯამაგირს აბა რას მიკეთებთ? ვინაა ერთი, რომ თქვენ მოგერჩინოთ? სად დაჰკარგეთ შებრალება, რატო აქამდის არ მიიღეთ საწყალი მომაკვდავი? რაზე მოკალით საბრალო ბავშვი?!! დაელოცოს ღმერთს სამართალი, რომ თქვენისთანებს არ გადუხდის. (სხვები რაღაცას ჩურჩულებენ. მომტირალ დედას აშორებენ მკვდარს და მიჰყავთ. ექიმი და ფერშალი ერთმანეთს უყურებენ.)

ექიმი. (აღელვებით) რა ვქნათ?

ფერშალი. რა უნდა ვქნათ'

ექიმი. (კაბინეტისკენ წავა.) Скандалъ! ეხლა, ხომ ქვეყნის სალაპარაკო გავხდები. (შედის).

(ავათმყოფები ყველანი წავლენ, მიცვალებულს ურემზე დასდებენ და ყველა იქ მყოფნი ექიმის ლანძღვით უკან მისდევენ).

ფერშალი. (მოსამსახურეს.) დაკეტე შკაფები?

მოსამსახურე. დავკეტე. (აძლევს გასაღებს. და ორთავენი გადიან.)

ფარდა.

გ—ხი, ვ—ნო.

(ნაწვეტი)

უგულის ნებო იმედი
არვის არაფრათ არგია...
როს საქმე მიდის ტაატით
მაშინ კი ესეც კარგია!..

—

კვლავ ბაყათარი გულს გვიფლეთს
და ბელზებელი ხარხარებს,
რომ ამბოკარი მაშვრალი
მათ მიერ მუხრუჭს ატარებს...
ამ ავტაროსი ხვეულის წინ
ალაფდა ბედის ბილიკი,
დატრიზებს გვესვრის სახეზე
ძალა უგლიმი ქილიკი
ღმერთი შორს, არის, საჩვენოთ
პირიც არ დაუბანია
ძალას თან ღინღილს ტაატის
ვერა რა გაუტანია...

—

უგულის ნებო იმედით,
იქნება ვინიცობითა
ეხლა ვეჩვევით სიცოცხლეს
უსაქმო მოქმედებითა...
ჩვენი უთუო მიზანი
ხომ ჩვენ გულშივე მარხია,
დრო ჩვენ მოგვყვება ეს მაჯაც
მისი მომქმედი ჩარხია...
მაშ ავტაროსი ბედის წინ
ნუ, ნუ, ნუ დაგვეძინება
კვლავ ბელზებელი ხარხარებს
ბაყათარს გაეცინება.

ტუქსიშვილი.

მესტვირული.

(ს. ზუმოხეთისთვის)

მოვდივარ ხელში სტვირითა
დავაღიღინებ ნელ ნელა,
სოფელ ზემოხეთს მივუმღერ
თუ არ გაჯავრდა წვერგძელა.
ძველადაც ,,ფოსტალიონი''
დღესაც მუშაობს ბნელადა,
ხალხს პირში ელაქუცება
დანოსებს გზავნის ჭრელადა,
მას ამხანაგი დამხმარე
ბევრი ყავს მარჯვენ ხელადა,
კუდა ბზიკ აზნაურები,
მღვდლები მათ მისაშველადა.
ერთმანეთს ხელსა უწყობენ
დრამების სახეკელადა,
ქანქარი მათთვის ღმერთია
ისა აქვთ სალოცველადა.
«ტარშინაც» დაიყოლიეს
ქანქართა საყლაპელადა.
ორჯერ ანაძრობ ჯარიმას,
გაუხდენ მშიერ მგელადა.
როცა გაუგო სოფელმა,
ჰანგი იცვალეს ხელადა:
«ტარშინა» დაასახელეს
ქანქარის შემჭამელადა.
სკოლის და ბაზრის საქმესაც
გაუჩნდენ თითქო მცველადა,
და გაიხადეს ორივე
თავისკენ სათრეველადა.
გაგვყვეს პატარა სოფელი
მტრობა დათესეს სქელადა,
სკოლა გვინდოდა შუა ალაგს
მათ გადაკარგეს მთელადა.
ეხლა კი მიხვდა სოფელი
ვინ აირჩია მცველადა
და გთხოვს უცხუნო მათრახი
მათ ზურგის ასაწველადა
რომ ხალხის ზურგზე ყორნები
არ ისხდენ უდარდელადა.

ლ. ზუმოხეთელი.

უცხო სიტყვათა ახსნა

(ქუთაისისთვის)

ქ. სათ აზნ. ბანკი—დავთრების და საანგარიშო ჩოთქების მაღაზია.

ქ. ქუთაისის სამმართველო—უხმო ხმოსანთა სადგური.

ყაფანი—ნაწილი ქუთაისისა, სადაც ყველაფერი იაფათ იყიდება.

ბულვარი—სტუდენტების მოსვლამდე დასვენებული ბაღი.

იალტა—სახალხო სკოლების დირექცია.

სამიკიტნო—ქუთათური მოწაფეების კულტურული დაწესებულება.

ვოგზალი—შენობა, რომლიდგან გამოსვლის შემდეგ რიონში უნდა იბანო.

ოცხელ-მთავრიევი—წიგნის მაღაზიების ინსპექტორი და მისი თანაშემწე.

ორ სოფლელი.

შ ა რ ა დ ა.

—

იქნებ მოგწყინდა შარადა
მკითხველო, პატივცემულო
და ფიქრობ: „ნეტავ ამ ოხერს
აღარ დასწერდე წყეულო".
რავქნა არ ძალმიძს ვუსმინო
ამ რჩევა დარიგებასა,
ვერა დავსტოვო შარადა,
ვიდრე თავი ტანთ მებასა.
მაშ მოიკრიფეთ ძალ-ღონე
და მოთმინება დიადი...
(საქმეს დაღუპავს სიჩქარე
აგრეთვე აზრი წყვდიადი)!
მონახეთ შინა ცხოველი
ნორჩი, არ მქონე რქებისა,
მცოხნავთა ჯიშის არსია,
მშვენებით,—ღირსი ქებისა.
წინა ანბანი მეტია



და ჩვენთვის მოუხმარელი,
ისევე წაშლა აჯობებს
სწრაფი და დაუზარელი.
მეორე სიტყვა საჭირო,
ადვილი ასახსნელია
თუ ხარ-კამეჩი გინახავს,
ის არ გენახოს ძნელია,
ერთგვარი იარაღია
მით მტერთა მოსაგერები.
(იმასაც ასო პირველი
ტყვილა აქვს მინაკერები).
მესამე სიტყვა, კერპია
ამ ქვეყნიური ცხოვრების:
მტერთა—მოყვარედ გარდამქნე,
მტრად მქცევი გულის სწორების!
იგი სატრფოა მრავალთა,
ცხოვრების მიზნათ ნასახი,
უბრალო, მრგვალი ლითონი
ზედ არწივ გამონასახი...
ალბათ მიმიხვდით კიდევაც,
(სანატრელი გაქვთ ყველასა)!!
მაგრამ ეგ ასო პირველი
აქაც აგვიტეხს ბელასა.
სჩანს ბედის წერა ყოფილა!
ყველა თავ მონაკვეთები
როგორ დაგვირჩა ნაწილი
შარადის გასაკეთები?!!
ახლა დაიწყვეთ სამივე,
როგორც რიგი და წესია,
და უცებ გამოგორდება
ცხოვრების ჩვენის „მესია“.
ვინც თავისს ბოლო ნაწილზე
კბილ-კლანჭებ განალესია,
ვინაც იქ იმის, სადაც მას
აროდეს დაუთესია,
ვინც მისკენ წიწავს სოფელში
რაც კი რამ უკეთესია,
ვისი ნაქები მათრახი
მკლავისა უცასქესია,
ერთგვარათ მუსრავს ქალს და კაცს
არ გაერჩევის სქესია,
ჯანი აქვს, ყვლეფავს ქვეყანას,
მოხუცს ენიშვნის პენსია,
ბევრი ყავს სოფლად ღატაკი
ანატირ ანაკვნესია.
თუ კიდევ ვეღარ ახსენით
ეს ჩვენი მოკლე ლექსია,
მოკაკვეთ თითი სალოკი,
როგორც ლაჩართა წესია

კოლო.

სარკის წინ იდგა ერთი ვექილი,
(დიდი ოხერი
და გაქექილი!)
სასამართლოსკენ გზად აპირებდა
ამ შემოხვევისთვის
ფრაკს ისწორებდა.
უცებ, შენიშნა მან საქმე ცუდი,
(ფრაკს ქვეშ უჩანდა
მელიის კუდი,)
მაგრამ არ შედრკა. სთქვა: საქმაული
არ არის ჩემი
დანაშაული.
მელიის კუდი და მისი კილო
ჩვენთვის არ არის
ძმავ სათაკილო.

კუდი

*
* *

ლაჟვარდსა, დიად მზის სხივებს
ჩამოეფარა წყვდიადი ბნელი;
ნისლთა სუდარით გადაიბურა
ხავერდ ქათიბით მორთული ველი.

თავისუფალსა მთის ნაკადულსა
ვარს შემოერტყა ყინულთ ბორკილი;
მსუსხავ ყინვისაგან ჩამოხმა, დასჭნა
სურნელოვანი მინდვრის ყვავილი.

შავ-ბნელ ფრთიანმა, საზარმა ქარმა,
იწყო სისინი, ვით მგესლავ გველმა,
და ბედის ჩანგი უხვად აპკურა
მოზღვავებულმა მდუღარე ცრემლმა.

დ. თურდოსპირელი.



ორი ეშმაკი.

ქველმოქმედება.

პირველი. განა როგორ?

მეორე. როგორ და ისე, რომ ჩვენს საზოგადოებას ღრმათა აქვს გამჯდარი ქვალ-რბილ'ში ქველმოქმედებითი გრძნობა.

პირ. საბუთი?

მეორ. საბუთი ათასი: წერა-კითხვის საზოგადოება, ქართული თეატრი, ფილარმონიული საზოგადოება, ერთი სიტყვით რომელი ერთი გითხრა.

პირ. მითხრა რა ჭკვიანა; შენ ისა სთქვი რომელი მათგანი არის სახეირო დღეში? ყველას სული ხდება შიმშილით

მეორ. ეს გრძნობის ბრალი როდია, ეს სიღარიბის ბრალია. აბა ჯერ გაამდიდრეთ ქართველი ხალხი და შემდეგ ნახავ როგორი ხელგაშლილი იქნება!

პირ ეს იმასა გავს: ,,მანეთი მაჩუქე და შაურს გასესხებო'' რო იტყვიან.

მეორ. რისთვის გავს შე კი კაცო? აი თუნდა ავიღოთ გუშინწინდელი ილიას საღამო...

პირ. ძალიან კარგი, ავიღოთ!

მეორ. ერთი მითხარი, უსასყიდლოთ რიმელი გერმანელი, გინა ფრანკი, გინა ინგლისელი ფილოსოფოსი იკითხავდა ერთ საათს ლექციას, თუნდაც ეს საქველმოქმედო აზრით ყოფილიყო?

პირ. მერე ვინ წაიკითხა?

მეორე როგორ თუ ვინ წაიკითხა? ვინა და რობაქიძემ. მართალია, თითონაც ხელმოკლეთ არის, მაგრამ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის მთელი საათი დახარჯა.

პირ. ვაჰ მაგალითო! სწორეთ ამაზე ითქმება: ,,ვთქვი და წამიხდაო''! შე კაი კაცო შეგეტყო მაინც საქმის გარემოება და ისე გეთქვა! კარგი ქველ-მოქმედებაა შენმა მზემ ერთი საათის ,,ბუნდოვან სურათში'' ათი თუმანი აიღო! ეს სწორეთ ქველმოქმედურია!

მეორ. შენ ცილსა სწამებ! შენ ,,შურით'' ლაპარაკობ. ქვეყანამ იცის, რომ წერა-კითხვის საზოგადოებას ის ფულს არ გადაახდევინებდა.

პირ. უკაცრავათ! ქვეყანამ იცის რომ გადაახდევინა და შენ ერთს გცოდნია რო არ წაუღია. განა მარტო ესა?

მეორ. მაშ კიდევ რაღა?

პირ. კიდევ ისა, რომ წარსულ ლექციაზე ქართული თეატრის არტისტები არ შეუშვა უფასოდ.

მეორ. სტყუი! უკაცრავად ასეთი კილოს ხმარებისათვის, მაგრამ სტყუი, სტყუი, სტყუი და ათი ათასჯერ სტყუი! მაგას როგორ დავიჯერებ, როცა რომ წინა დღით შეერთებულ კრებაზე ისეთის ქველმოქმედურის მზრუნველობით ამტკიცებდა: ,,ჩვენს არტისტებს ლექციები უნდა ვუკითხოთ, უნდა გავავითაროთ, გონება გაუხსნათო, და სხვა ათასი სირცხვილია ასეთი ცილის წამება, გესმის? სირცხვილია.

პირ. პირველ ყოვლისა შეურაცხყოფისათვის გიწვევ სამედიატორო სამართალში. ჩემის მხრით ვნიშნავ პართენ გოთუას. დღიდან ამ წერილის გაზეთში გამოცხადებისა, ვადას გაძლევ ერთ კვირეს შენც დანიშნო შენი მედიატორენი. როგორ თუ მე ვსტყუი! მაშ ისიც ტყუილი ყოფილა, რომ არტისტებმა დემონსტრატიულათ მიატოვეს მისი ლექცია და სახალხო სახლში წავიდენ? მაშ ესეც ტყუილია არა? მაშ შენი აზრით ისიც ტყუილია რომ დეპუტაცია გაუგზავნეს: ფული არა გვაქვს და შეგვიშვიო?

მეორ. ალბათ ტყუილია, რადგან ამის საბაბი აოავის მიუცია. მართალია ლექციას თაობაშივე ეტყობოდა ვაჭრული ანგარიშის სუნი, მაგრამ ამას მაინც არ იკადრებდა, არა და არა.

პირ. არ იკადრებდა რასაკვირველია მიზეზი რომ არ ჰქონდა. ხომ გაგიგონია ,,თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილო''.

მეორ. გამიგონია, მაგრამ აქ რა მოსატანია?

პირ. სწორედ აქ არის მოსატანი. გრიგოლმა გამგეობას თურმე სეზონის ბილეთი სთხოვა, გამგეობამ უარი სტკიცა...

მეორ. შეუძლებელია, სტყუი!...

პირ. თუ არ მათქმევინებ მითხარი და დავინებებ თავს. ჰოდა უარი მიიღო. გრიგოლს ეს რასაკვირველია ეწყინა...

მეორ. და განა არ არის საწყენი? კაცს, რომელიც ქვეყანას ბედის ვარსკლავსავით აღმოცენებია უფასო ბილეთს არ აძლევენ? ეს ხომ ეროვნების შეურაცხყოფაა? ეს ხომ ჩვენი მამულიშვილობის დაქვეითებაა?

პირ. მაცალე შე დალოცვილო აგიხსნა საქმის ვითარება! ბილეთები რო არ მისცეს გრიგოლს ეწ-

ყინა, ეწყინა და აი თურმე ამისთვის მანაც თავის მხრივ სტკიცა უარი არტისტებს. «კბილი კბილისა წილ და თვალი თვალისა წილ!».

მეორე. კარგი, მაგრამ უარი არტისტებს ხომ არ უთქვამთ? უარი მას გამგეობამ უთხრა. გამგეობა და არტისტები ხომ სულ სხვა და სხვა არიან. მათ შორის თუნდა ის მცირე განსხვავებაც არის, რომ არტისტები სცენაზე მაინც გამოდიან და ხელებს ანძრევენ, ხოლო გამგეობა სრულიად უმოძრაოთ და უმოქმედოთ არის.

პირვ. მართალია, განსხვავებაა.

მეორე. მაშ თუ ეგრეა გამგეობა ხომ შეუშვეს უფასოდ?

პირვ. საქმეც იმაშია, რომ ცხენებს ვერ შესწევდა მათი მაღალ ფილოსოფოსობა და უნაგირებს დაუწყო მტვრევა.

მეორე ვერ დავიჯერებ, შენ სტყუი, შენ «შური გალაპარაკებს».

პირვ. მე კი არა შენ თითონ სტყუი გესმის? მე თუ ვსტყუი მაშინ ყველა არტისტები სტყუიან: შენ კი საქმის გარემოება არ იცი და გინდა ქვეყანას ქველმოქმედობა მოახვიო თავზე. აიღე თუნდა ის სარაჯიშვილიც.

მეორე. მე აღარ შემიძლია შენს ცილისწამებას ვუსმინო. დაე სამედიატორო სამართალმა გაარჩიოს ჩვენი დავა. მეც ჩემის მხრით ვნიშნავ პართენ გოთუას. დაე მან აირჩიოს თავმჯდომარეთ ისევ პართენ გოთუა.

პირველი. სრულს თანხმობას ვაცხადებ.

„მასკა“.

*
* *

(ვუძღვნი ყოფილ ნუნუს)

სიზმრათ გიხილე ციდან ლტოლვილო,
ფიქრთა კალთაში რუს პირს მჯდომარე,
შენს სილამაზეს დამონებოდა
ძირს დედამიწა, მაღლა მთოვარე...
ვარსკვლავთა გუნდიც მიბნედილიყო
შენის მშვენებით მთვრალი, გრძნეული,
ჰანგთა შეწყობას ვერ ახერხებდა
დატყვევებული შენგან ბულბული...
და დუმდა... დუმდა მდელოსთან ერთად
მშვენიერების მგოსანი, მონა,
მხოლოდ ქურდულათ, როგორც წალკოტმა
შორით ჩაგკოცნა, გულს ჩაგიკონა...
მეც იქ ვიყავი, ყვავილებს ვკრეფდი,
თმაში გიწნიდი დანამულ იას,
ვარდით კოკობით შუბლს გიმშვენებდი
ნაოჭ დადებულს, სევდიანს, ჰკვიანს...
ყვავილთა კონით კოხტად მოგფუთნე,
ზღაპრული იყავ ეგრე ნაკაზმი...
გიშრის თმას, წამწამს ეპკურებოდა
ლაჟვარდის ცრემლი-ცის აიაზმი...
მადლობის ნიშნად ღიმილს მიძღვნიდი,
გული კი გქონდა ვით ყინვა ცივი,
ჩემდამი ტრფობა არ ათრთოლებდა,
აღარ უკრთობდა დამწველი სხივი..
და სევდამ მძლია, შევება შევკვეცე...
დაღონებულმა თავი ჩავკიდე...
გული აკვნესდა უიმედობით,
ჩამოებურა ბნელეთის რიდე...
ამის მჭვრეტელი ვარსკვლავი შეკრთა,
რომ განაწყენმა ლუკლუკს უმატა,
ბულბულმა ბუჩქში ჩემს ჰმუნვა-სევდას
თვისი მიაწნა, გადაუმატა...
გული კი ჩემი კვლავ ობლათ ცემდა
შენდამი ტრფობით დამონებული...
ამაო იყო მისთვის უშენოთ
ია, წალკოტი, რუ, ცა, ბულბული...
. . . .
სინამდვილეშიც ეგრე გიხილე:
ლოდის მსგავს გულით პირმოცინარე...
და კვლავ ამოჩხდა, როგორც სიზმარში
უიმედო ხმა და ოხვრა მწარე...
მითხარი ტურფავ, რითი გავათბო
განაყინები ეგ შენი გული?
რითი ჩავნერგო შიგ ტრფობის სხივი,
დიადი გრძნობა ცით—სიყვარული?.

ვ. მალაქიაშვილი.

პედაგოგიადა.

(პოემა)

შესავალი.

ეჰ, ღმერთო ერთო, შენ მომეც
ზეგარდმო ნიჭი წერისა:
ენა მკაცრი და მახვილი
ბედევან წერეთლისა,
აზრი ღრმა, მიუწვდომელი
მიხეილ სადარაძისა
და ნიჭი სათარგმნო
ერმაღლოზ კანდელაკისა.
რომ შევძლო დასურათება
პედაგოგთ ბედის წერისა
იმათი ამბავ ხაბარი
ძირსია ქებათ-ქებისა.
ზრახვა მაქვს შევქნა პოემა
ნაზი და ტკბილი-ხმოვანი
ვარჩიო პროზას უგემოს
ხმა ტკბილი ლექსთა წყობანი.
ამ პოემაში აღვნიშნე
ერთი ღდე ბრწყინვალეთვანი;
ქუთაისურ პედაგოგთათვის
დიახ დიდ მნიშვნელოვანი....

თავი პირველი.

აქ მოლოდინი უცხო სტუმრებისა და სადგურზე დახვედრა.

ოთხშაბათ დილა გათენდა, რა ავი დარი დგებაო?
სამსი წრფენილი ,,შამანა'' ქუთაისს მოფრინდებაო!
თანვე მოსდგეენ ქორები და ერთი დიდი ძერაო,
ამ სოფლრმა ამბავმა ბევრს გული აუძგერაო!
ამბობდენ: ,,რას მოასწავებს ჩიტების გადმოფრენაო,
ვაჭ თუ ტულ რასმე უქადის ქუთაისს ბედის წერაო!
გამოჩნდა, შორით გამოჩნდა ეგ სოფლრი კრებაო,
რაზმ დაწუობილნი, მუსიკით, როგორც ჯარს ეკადრებაო.
წინ უძღვით ბედგოგები დაცდილნი გენერლებიო
ჯიბეში შამფურ რწობილნი, გულს უხვად ჯვარ-მენდლებიო
მუსიკა გრგვინავს, ინძრევა მთელი ქალაქის წიალი:
გაბაშვილის მთა, ,,ბულვარი'' ეს სარბიოო აქ ბადი

თავი მეორე:

აქ მოსვლა უცხო სტუმართა და ცერემონიები.

სადგურის უკან მიაწყდა მოსწავლე ახალგაზდობა
რიცხვი არა აქვთ ადმზრდელებს, სულ ეველას შვენის სარდლობა
ლვიით ბეკანიჩს *) იმ დღისთვის მიეღო ბომბოლიობა,
რაზმისა გულში მდგომარე სხვათა ფეხის ხმას მიეობა.
მთავარ სარდლებმა ლირსია ადგენიშნოთ გლეშაკოვიო
ისე უბლვერდა ქვეშეგრდომთ, როგორც ირანის დომიო;
უტეტ გამოწნდენ სტუმრები შენდლებით მოქარგულიო,
მათ დანახვაზე გლეშაკო

მოქალაქენი ქუდების იხდიდენ
და კაზაკები რაზმ დაწყობილნი
ცხენებზე ისხდენ მომრჯვალებულნი
მხარს უმშვენებდენ მამულიშვილსა.
როცა კოსოვდა ეგ კარჯიშობა
ბედკოგები კასწორდენ წყალში,
მაგრამ სიტყვა კი არ გაუბედავთ
ხმა ჩაწყვეტოდათ საბრალოთ ყელში.
რაზ!.. დგა!.. და ეგელა გაუდგა გზასა,
ტრი!.... მუსიკამაც შექნა გრიალი.
და მზის სხივებზე ბედკოგების
შენდლებმა იწყეს ბრიალ ბრიალი.

Х. У . . . . ძე.

ფოთის ნეგატივები.

თუმც ჩემი «მეგობრები» წამ-დაუწუმ მარიგებენ, რომ «ჭკუა ვისწავლო», მაგრამ ვერ ვურიგდები მათ რჩევას და, ნურას უკაცრავათ, თუ ძველებურათ «მოუსვენ'ობა» გამოვიჩინო.

აბა ერთი მითხარით, როგორ შეიძლება ყურად ვიღო რაღაც "შეხამების" კანონები!

— შენ, ჩემო ძმავ (მეუბნება ერთი ნაცნობი), ანგარიში უნდა გაუწიო „საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას." განა არ იცი რა პაწია ქალაქში ცხოვრობ? ყველასი კბენა შეუძლებელია. ორი კაკალი კაცნი ვართ აქ და თუ ერთმანეთი ვკბნეთ, საჭიროების დროს არავინ გაგვიკითხავს. ბევრი იქცეოდენ შენებრ,მაგრამ შემდეგ „პირობებმა აიძულეს" ქედი მოეხარაო. დამერწმუნე, მეგობარო, რომ აქ განსაკუთრებული „საზოგადოებაა." მას ძლიერ ეჯავრება „შენისთანები." ნუ, გეთაყვა, ნუ გაიბრაზებ მათ. ადგილი რაიმე არ გინდა, რომ „იუპიტერნი" დაგეხმარონ?! დაანებე მათ თავი და დამერწმუნე უფრო მოიგებ. აი ნაყოფი შენი „დაუდგროების." ექიმის მოწმობა გინდოდა, აბა გაბედე ერთი მოდი? რა ბევრი ველაპარაკო. როგორც კვეყანაში მიხვიდე, ისეთი ქუდი დაიხურე. შენ რა ხარ, რომ „სოციალური ტკივილები" „გამათრახებით" გაკურნო? დადექი და მალე კარგთბილ ადგილს მიიღებ და იცხოვრებ მოსვენებით: არსებობს დარვინის მოძღვრებით ბუნებრივი შეგუება, ჩვენ პრაკტიკაში „ზნეობრივი შეხამება" გავამტკიცოთ.

ასე გაათავა იმ „მეგობარმა." მე ის მეზიზღებოდა მაშინ, მეზიზღება ეხლაც. მასში „ცხოველური ინსტიკტი" ლაპარაკობდა. ეს ნიკობურგელთა დამახასიათებელი სენია, ეპიდემიურათ გავრცელებული, ამ წინასიტყვაობის შემდეგ, ჩემებურათ „მოუსვენრად" დავიწყებ კბენას. .

25 ოკტომბერი, ეს ბრწყინვალე დღეა ნიკობურგელთათვის. ამ დღეს შესრულდა 15 წელი, რაც ძველ ფოთს მოვლინა კაცი იგი „თავიანი" და შექმნა მან ქალაქისთვის სქმე ბევრი „ფარიანი." მან „გადააკეთა ფოთის პორტი," სადაც ბუზებივით ირევიან უცხოელთა გემები, გაშენდა ელევატორი, ტრამვაი, გიმნაზიები. აყვავდა წარმოება, აღებ-მიცემობა. გამდიდრდა მცხოვრებთა მასა. გართულებულმა წარმოებამ მეტი და მეტი მუშა ხელი მოითხოვა და ამ „თავის" მეოხებით მთელ ქალაქში არ მოიძებნება არც ერთი უმუშევარი; ეგზამინატორად ბრწყინვალე დღეა 25 ოქტომბერი. მას დღესასწაულობს, მდიდარი, (რადგან ფოთში ღარიბი არავინ მოიპოვება), მუშა და ინტელიგენტი, ნასწავლი და უსწავლი. ძველმა ფოთმა ეგზამინატორად დღეს მიიღო „ნიკობურგის" სახელწოდება (აქამდის ამ სახელს ოხუნჯები უწოდებდენ ხოლმე). და მცხოვრებლებმაც დაიფიცეს ღვაწლი „თავისა" და 24 ოქტომბერს, როს მიიმალა მნათობი ცისა, წარსდგა დეპუტაცია ქალაქის «სიმაგრეში» (კოშკში) და მიართვა მხცოვან „თ ვსა" ყველისმბელი ვერცხლისა (ვერცხლის ჯაჭვი) ალბომი და „სამადლობელი" ადრესი. მხცოვანმა თავმა „ამაყურათ" გადახედა დეპუტაციას გაიღიმა და დაასაჩუქრა ის „მადლობითა". ხოლო, დღეა კვირის, საკრებულოს დარბაზში გაიმართა „საიუბილეო ნადიმი" [1]) რომელზედაც ჩუბჩუხებდა მჭეფარე „ტოსტები", მოქარგულ, ბანჯგვლიანი ენები ეგზამინატორად ადიდებდნენ „თავსა" მას, რამეთუ მან შექნა ნიკობურგის სიმდიდრე. როს ნადიმი გათავდა, გულმოწყალე „გვამებმა" არ დაივიწყეს „ბნელეთში მწყდეულნი" და მსახურისა ხელითა წარეგზავნეს მათ „ნამცეცნი სუფრისაგან თვისისა მთენელი". მაგრამ „საპყრობილეში მწყდეულნი" „მოუხეშნი ხალხნი" აღმოჩნდენ, იუკადრისეს „ფინჩხი", ტაბლიდან ჩამონაფერთხი და უკუ გზავნეს ის...

„უმადურნი" სთქვა ერთმა გვამმა. ჩვენ ნადიმის დროსაც არ ვივიწყებთ მათ. ჩვენ მათვის ჰაერით სავსე, ყოვლად შემკული ადგილს ვეძებთ. მთელი დესეტინა მიწა ვარუქეთ უწყებასა სატუსაღოსასა და სხვა და სხვა. და ისინი კვლავ დიდგულობენ?! სჩანს არ ღირსა არიან ყურადღებისა ჩვენისა.

—

„მოუსვენრობის ქარი" გამიჯდა (საბრალო ჩემი „მეგობარი" როგორ ტყვილად ჩაუარა ნოტაციებმა!) და ქალაქის აფთიაქში შევირბინე, რათა მენახა პროვიზორი კისერი (უკაცრავად კისსერი—უბრალო კისერი არ გეგონოს მკითხველო, კისსერი გვარია) და მისთვის „წამეინტერესებია».

— ბ-ნო კისსერო! მე მსმენია, როგორ სწრაფად იჭერთ „მადაზიებში" გაკეთებულ რეცეპტებს და როგორ ფიცლავ აყენებიებთ ოქმებს.

— დამერწმუნეთ, ბ-ნო ვოლდემარ, ამას ქალაქის ინტერესები მოითხოვენ.

— ეგზამინატორებაა ვუპასუხე მე.

— ამასთან, რომ ეგრე არ მოვიქცეთ შტატი უნდა შევამოკლოთ, ქალაქი ზარალს ნახავს. ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ „მადაზიებში" პაციენტებს უფრო მეტს ახდევინებენ, ან იმდენს, რამდენს ჩვენ და წამალიც ძველი და დაბალი ხარისხისაა.

— ეგზამინატორ, ეგზამინატორ, მაგრამ ერთი მითხარით, მედროგეებთან კეთილსიტყვაობა რისთვის დაგვირდათ?

— Рабочіе туземцы, ეგზამინატორ მაშინიკებია. წარმოიდგინეთ, 18 ბოჭკაში ერთი ცალიერი ამოიტანეს და ნუ თუ გასალახი არ იყვნენ?

— ბ-ნო კისერო იქნებ მე-18 ბოჩკა აგენტსვოდან გამოატანეს მათ ცალიერი?

— ჰო ესე მითხრეს, მაგრამ მე არ მიყვარს დილენჯი ხალხი. ისინი „აკურატნები უნდა იყვნენ, როგორც ნემცები. Прохвосты, ცალიერი ბოჩკა მომიტანეს ა?!...

— მათ რაც გამოატანეს ის მოგიტანეს, რა მათი ბრალია?

— არა, მათი ბრალია, რამეთუ მუშები პროხვოსტები არიან.

---

[1]) იუბილიარის ხარჯზე რადგან სხვების გამასპინძლებაზე მან ვარი სთქვა.

დაასრულა ბ-ნმა კისერმა და მოვქუსლე ქალაქის აფთიაქიდან კაპარჭინას სამრეწველო რაიონში ამოვყავი თავი. მუშები პარკში გახიზნულიყვნენ და ქაღალდს თამაშობდნ.

შეეხე მათ ენითა მწველითა და ვკითხე: ,,პროლეტარის ქვაბში'' გამოხარშულნო! შეგფერით ,სეთი წმინდა საქმე თქვენ?

— როტომაც არა, მიპასუხეს. ჩვენ ყველაფრის იმედი გაგვიცრუვდა. რაღაც ,,პროლეტარიზაცია''ო ჩვენ ვახდენთ. თქვენ სიტყვით ლაპარაკობთ, ჩვენ კი მარქსის მოძღვრებას საქმეზე ვასრულებთ. გავფცქვნით, გამოვფცქვნით ერთმანეთს და გაპროლეტარებაც მოხდება.

— მერმე სანამდის მოიქცევით ასე?

— სულ, სანამ ,,რედაქცია'' არ გათავდება. სანამ თვით ცხოვრება არ დაგვაყენებს სხვა გზაზე. წავიდა ის დრო, თქვენ რომ გიჯეროდით. ჩვენ არ გვკირია არავინ ,,დამხმარე'', რამეთუ მარქსმა სთქვა—,,მუშის განთავისუფლება მუშისვე საქმეა'' და აი ჩვენც ჭეშმარიტად ვანთავისუფლებთ ერთმანეთის ჯიბეებს, როცა ,,ლიშნი'' გროშები გვაწუხებს.

ერთი ჩავახველე და გავშორდი მათ.

ნიკობურგი ცოცხალთა სამარეს დამზგავსებია. შეუძლებელია ამ ატმოსფერაში ცხოვრება

ვოლდემარ.

რა დავაშავე!

როს ქოხში ვზივარ შრომით მოღლილი
და მიმორჩილებს ცხოვრება მწვავე,
მაშინც მჩხრეკავენ ,,კანონის'' ძალით,
ნეტა რა უნდათ, რა დავაშავე?
როს მივისწრაფი, მივდივარ გზაზე
ხელსა მტაცებენ, ,,მკითხავენ თანვე
,,ვინ მოგცა ნება სიარულისო''
ნეტა რა ვქენი, რა დავაშავე?
როცა ვისვენებ, სადმე ვჩერდები,
წამსვე ჩნდებიან ჩემთან იქავე
და მიბრძანებენ: ,,ნუ ხარ აქაო''
რა ჩავიდინე, რა დავაშავე?
ძილის დროსაც კი არ მასვენებენ
თითქო მიძღოდეს რამე, სიავე:
ურცხვად მკითხავენ: ,,რა კაცი ხარო''
რა უნდათ ნეტა, რა დავაშავე?
განა არ ვიცი მე უძლური ვარ
სხვისთვის მშრომელი და მომუშავე,
ალბათ ეს არის დევნის მიზეზი
მიტომ ვარ ცუდათ, ეს დავაშავე!

ს. ქურიძე.

წერილები ეშმაკისადმი

მოხსენება სამტრედიიდან.

21 ოქტომბერს ფოთში გიახელით. საქმე მეტათ სერიოზული მქონდა მინდოდა მენახა ჩემი თანამოძმე ფოთის კორესპონდენტი ვოლდემარი, ფრიად საჭირო საქმისთვის, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. ბინას ვერ მივაგენ და უკან გამოვბრუნდი. სადგურ ახალ-სენაკში ბილეთის აღება მინდოდა სამტრედიამდე. მივმართე კასირს, რომელმაც სამტრედიის ბილეთის ნაცვლათ აბაშამდე მომცა და ფული კი სრულათ წაიღო. ალბათ ამით თუ ფიქრობს რკინის გზის გამდიდრებას (ვფიქრობ უფრო მისი საკუთარი ჯიბის) ჩამოველ სამტრედიაში, და ბარგის წასაღებათ ,,ნასიღჩიკს'' დაუძახე. ისიც მოვიდა; მაგრამ მე ვერ წარმომედგინა თუ საიდან გაჩნდა ეს ახალი მომუშავენი სადგურზე. ვკითხე მას თუ რა იქნა წინანდელი თეთრ-ხელიანი „კნიაზური'' არტელი, რომელიც ბ. გლადკოვის მეთაურობით შესდგა? მანაც ყველაფერი მიამბო. თურმე ნუ იტყვით რკინის გზის სამმართველოს ისინი კარგა ხანია დაუთხოვია. მიუხედავათ **გლადკოვის** მოხერხებულ ქამანდებისა. გადავჯექ თფილისის მატარებელში და ქუთაისისაკენ წაველ. ჩემთან ვაგონში შემოვიდა ერთი მსახიობი. გამოვკითხე მიზეზი ჩამოსვლისა. მითხრა: „წარმოდგენა უნდა გამემართა, მიმასწავლეს სადგურ სამტრედიის უფროსის მეუღლესთან, რომელსაც გავაცან ჩემი უკიდურესი მდგომარეობა ისიც სათანადო დახმარიბას დამპირდა; აფიშები დავაგეკდვინე გლადკოვა დიდის ასოებით გამომაცხადებინა, და წარმოდგენის წინ დღეს დიდი უშველებელი ვარი მტკიცა. მოგების ნაცვლათ სული კინაღამ დავტოვე შიშისგან მისის წყალობით სამტრედიაში. ,,უბედურს ქვა აღმართში მიეწიაო,'' რო იტყვიან სწო-

რეთ ისეა ჩემი საქმეო.'' დაათავა თვალ ცრემლიანმა არტისტმა. მოტყუილებაც ასეთი უნდა!!

ექს რევიზორი.

—

ბორჯომი. 25 ოქტომბერს აქ წარმოდგენა გამართეს. თუმცა არტისტები „ჯერ დაიხოცენ" მეტის მეტი შრომისაგან და როლი მაინც არ იცოდენ, მაგრამ შემდეგ ,,დაქორწილდენ'' და წარმოდგენაც ჩინებულათ საძაგლათ ჩაატარეს. ხალხი ბარე 30 კაცი მაინც კი დაესწრო. ყველა ძლიერ ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში, რომ წარმოდგენა გათავდა. წარმოდგენა სურამელ დაეწვრების სასარგებლოთ იყო და მათ სასარგებლოთ 20 მანათი მეტი დარჩათ.

—ჩვენი დეპოს მუშებში ძლიერ შესუსტდა ,,ნუნუას'' სმა. ეხლა დღეში მხოლოდ ხუთჯერ თვრებიან. დიდის ვაი ვაგლახით მესამე კლასის ბუფეტში დაარსდა კარტის მოთამაშეთა ბიურო. თამაშობა ღვინოზე არის.

— ბ. ტომრაძემ საზღვარ გარეთიდან გამოიწერა გაწვრთნილი მოსამსახურეები. ამას წინათ სადგურის უფროსს, რომელიც დამპალ კალბასებს სუნავდა ერთმა მოსამსახურემ კეტით ცხვირი მოსტეხა და მთელი ტანი დაუზიანდა. უცხვიროთ უფროსი აწი ველარ დაუწყებს სუნვას დამპალ საჭმელებს.

რიმკუს.

—

სამტრედია—ამას წინათ ,,ტოვარნი'' მოსამსახურეებმა ,,მცხეთური'' გამართეს. მაგრამ დახეთ უბედურებას: ერთ ,,ოტპრავიტელს'' ისე მაგრათ გაუკეთეს, რომ როგორც ლაყე კვერცხი ისე ჩაატყდათ ხელში გოგრა დაზარალებული საჩივრის აღძრას აპირებს.

— დიდი ნიაღვრის შემდეგ მეეზოვეებმა ქუჩაში იპოვნეს ვიღაც ,,ჩინოვნიკის'' თავი. მცხოვრებლები საგონებელში ჩავარდენ, არ იციან რომელ დაწესებულებას აკლია ,,თავი''. მოელიან ეგზეკუციას.

ხეჩო.

—

ს. სავანის-ტეზერი.

პატივცემულო ეშმაკო!
ისემც გეკურთხოს მათრახი,
ნუ გაგვაწბილებ,—ამას გთხოვთ,
საქმე არ გვიქნათ საძრახი,
გვესტუმრეთ სავანის-ტეზერს
და ნახეთ სავანელია,
(გიგო რომ ქვია სახელად
გიორგის მახლობელია).
და ჰკითხეთ: გლეხებს რად სტანჯავს,
რად ახდევინებს ნადელისა?*)
რად აწიოკებს ბედშავებს
და აცემინებს ,,სტრაჟებსა''?..
ჰკითხე და თუ კი პასუხი
ვერ მოგცეს შესაწყნარები
მისცხე ეგ შენი მათრახი
ორგულთა გასამწარები.

გ—ი.

*) რადგან სანადელო მიწების ბაჟს უკვე დიდი ხანია გლეხები იხდიან, ამიტომ, ეს უკანასკნელნი განთავისუფლებულნი იყვნენ სანადელო გ დასახადისაგან, დღემდის. მიუხედავათ ამისა ბ. გ. სავანელი ახლა მაინც ახდევინებს გლეხებს ნადელს, მაგრამ არა მეოთხედს,—არამედ დღიურზე ორ კოდს...

—

ხაშური.— მდინარე სურამულა ლამის სულ დაშრეს, მიზეზი ის არის, რომ ს. ჩუმათელეთის ,,ექიმ'' ქალს ბევრი ავათმყოფები ყოლია და ყველას ამ წყალს უკეთებს წამლათ.

ახ.—ლი.

—

დ. ყვირილა. ამ დღეებში შემთხვევა მქონდა ორი დღით დავრჩენილიყავი ყვირილაში. ვინაიდან ეს დაბა ჩემდამდი რწმუნებულ სარევიზიო „საბლაღოჩინოში" არ შედის მე აქ ამგვარებისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ ერთმა ვაჟბატონის საქციელმა ძალა უნებურათ ამაღელვა. აქ, სადგურის ახლოს საკუთარი აფთიაქი აქვს ბ 5 თეოფანე ნანიეშვილს. მატარებლიდან გადმოსვლის ხანს ერთი ნაცნობი შემხვდა და მითხრა თუ ბაზარში მიხვალ ასე ცილინდრით და შავი ბლუზით აფთიაქის ახლო არ გაიარო, მის პატრონს ჭირივით ეზარება ამ გვარი კაცები და ხიფათი მოგელისო, გამიკვირდა სად აფთიაქის პატრონი და სად ცილინდრის და ბლუზის დევნა მეთქი? შემოუარე აფთიაქს და წაველი ბაზარში, რომ დავრწმუნებულიყავი ნაცნობის ნაამბობის სინამდვილეში. რამოდენიმე პირებს ვკითხე ბ-ნ თეოფანეს ამბავი, რომლებმაც შემდეგი გადმომცეს: ღმერთმა დაიფაროს ბ-ნო იმ გვარი კაცი მას ქვეყანა სძულს და ის ქვეყანას სძულს; მოსამსახურეებს ცუდათ ეპყრობა, აფთიაქში მომუშავეთ ისეთ კაცს ღებულობს, რომ რაიმე ნაკლი უნდა ქონდეს, კარის ხალხის სიმპატია ექნება და საქმეზე მომიცდენენო. ჩემს მოსამსახურეს არც ცოლი უნდა ყავდეს არც შვილი და არც საზოგადოება უნდა იცნობდესო, აქვს თუ არა აფთიაქში საქმე მომუშავე ორი იქნება თუ სამი მუდამ შიგ უნდა იყოსო გაიძახის ის. ამ ხანებში ერთმა მოსამსახურემ ვერ გაუძლო მის ამგვარ საქციელს და მიატოვა მასთან სამსახური. ვინც იცოდა მისი ამბავი არავინ დაუდგა. უცნობები ისეთი არავინ გამოდგა რომ არც ცოლი ყოლოდა არც შვილი და არც ხალხი სცოდნოდა და ისე არ დაიყენა. ერთმა ქუთაისელმა ფარმაცევტმა, როდესაც გაიგო რომ ბ-ნი თეოფანე აფთიაქში მოსამსახურემს ეძებდა წერილი მოსწერა დაგიდგებიო. წაიკითხა თუ არა წერილი მორთო ყვირილი, „ნიკომ (იგულისხმე გრიგოლია არ გადმოცა მისი ამბავი რაც შვილია-იმ „ანარხისტს" გზათ არ გავარონიებ ყვირილაშიო. ძალიან მინდოდა ამ გვარი გვამის ფიზიონომიის გაცნობა და შევედი აფთიაქში ფარულათ, ბ ნი თეოფანე წალმა-უკულმა დადიოდა აფთიაქში და ამბობდა: აი მამაძ... სოციალისტობას თავს არ ანებებენ, ხალხს ექომაგებიან და ადგილი მომეციო მეუბნებიან მე მათ ვაჩვენებ სეირსო." ამ დროს შემოვიდა ერთი ბავში და რეცეპტი გადასცა მას. ამის წამლები ღირს რვა მანეთიო უთხრა თეოფანემ. ბ ნო ამდენი ფული ჩემს უმფრო-

სებს არ აქვს ეს რეცეპტი იყოს წამლებს ჯერ ნუ აკეთებთ ეკითხავ და თუ მოახერხებენ ფულს მაშინ გამიკეთე წამლებიო. გაბრუნდა ბავში და ცოტა ხანს უკან მოვიდა. მას მოყვა უფროსიც და უთხრა გთხოვთ ნახევარი გამიკეთოთ თუ შეიძლება ოთხი მანეთის მეტი არ მაქვსო. ნაცვლათ იმისა რო ეთხრობია ნახევარის გაკეთება არ შეიძლება და რაიმე საშვალება მიეცა გამოართვა ოთხი მანეთი და უთხრა წამლები მე უკვე დავამზადე (დამზადებული კი არ ქონდა) თუ მოიტან დანარჩენს წაიღებ თუ არა ეს ოთხი მანეთი დაგეკარგება, ვინაიდან უნდა იცოდე რეცეპტს რო მოიტან წამალიც უნდა წაიღოვო,

კასიო.

—

ქუთაისი ქუთაისის ახალგაზდობას ერთი ფრიად საოცარი სენი დასჩემდა ამ ბოლო დროს. წარმოდგენის დროს თეატრში სიცილ-ხარხარი აუტყდებათ ხოლმე და ყურთა სმენა აღარ არის. თეატრი ხომ საარშიყო ასპარეზათ გადააქციეს.

— ამ დღეებში აქ გამოვიდა ვინმე მეცნიერ „ნაცარყანელის" ფრიად მეცნიერული წიგნი „სწამს თუ არა მეცნიერებას ღვთის არსებობა" ამ ფრიად მეცნიერულ კითხვას ის „ნაცარყანულ მეცნიერების თვალ საზრისით არკვევს და ამტკიცებს, რომ მეცნიერები ახალგაზდებს ღვთის წინააღმდეგ ამხედრებენო.

ალ. ჩორ.

კიდევ «ლეჩხუმელი მელა»

,,მელამ'' ამ ბოლო დროს ,,ზნე-ჩვეულებანი'' ერთიანათ გამოიცვალა (განა როდის იყო კაი ზნის?) და კვლევა-ძიებას შეუდგა ,,სხვათა და სხვათა საქმეთა''... სხვათა მრავალთა შორის ამ დღეებში თავის ოჯახში მიიწვია ერთი ქალი, სახელათ ნუშო და კარგი მასპინძლობის შემდეგ შეეცადა გაეგო მისგან თუ ვინ არის ,,ლეჩხუმელი მელას'' ავტორი. ანუ ლეჩხუმიდან გაზეთების კორესპონდენტები და საზოგადოთ ,,მავნე პირები''...

,,ყვავს არ ქონდა, ბუს გაქონდაო'', სწორეთ ისე მოუვიდა ჩვენს ,,მელასაც''... ნუშოს რა ჰქონდა, რომ ,,მელა'' გაეძღო!

ამან ძლიერ გააბრაზა ,,მელა და გაიმართა ასეთი სცენა:

ოხ, შე წუწკო და ვერანავ! —
ბიჭიკომ უთხრა ნუშოსა,—
გული არ ძღება, რომ კაცმა—
ე მაგ მახვილი გფუშოსა.
მაგრამ არც ნუშო დარჩა ხელცარიელი:
ნუშომ მიუგო.—რას მერჩი.
გაფუქებულო ,,მელაო''!
წუწკიც კი ხარ და ოხერიც,
განთქმული ,,ლეჩხუმელაო''.
ახალი არ გწამს ღალატობ.
აღარც გივარგა ძველიო,
შენი სამყოფი, სალხინო,
ნანგრევია და ხვრელიო.
თითით საჩვენი გამხდარხარ,
მოძმეთა გამცემელიო
ყველა გაგირბის, ზიზღით გეკრეტეს,
ვით გესლიანი გველიო.
(ეს, რომ ბიჭიკომ ისმინა,
გაცხარდა, დორბლი დაყარა:
ულვაშზე ხელი იტაცა
და შეიგინა ქალარა:)
მაშ, მაცა წუწკო დიაცო!
შენსა თამაშას ვნახავო
სოციალისტი ყოფილხარ,
რაკი ამგვარებს ჩმახავო!
მოგახსენებენ, ,,მელია'',
ქუთაისს წაცუნცულდაო,
მაგრამ იმასაც ამბობენ,
ლოდინი გაუცრუვდაო.

ფრაპ.

დ. სამტრედიაში.

დღეიდან სადგურის წიგნის შკაფის გამგემ გაიჩინა ჟურნ.-გაზეთების გამყიდველები შემდეგ სადგურებზე: სკაკახი, ნიგოითი, ლანჩხუთი, ჯუმათი, სუფსა და ნატანებში. მასვე ყავს გაზეთების აგენტი დ. ხონში—ეკტიხი შებეკეტ, სენაკში—ზ. ხუჯუა და ჯიხაისში—შეგზეკ, შვანთაში ლ სემასანსაში. ამათ გარდა ყველა ადგილობრივ გაზეთებისა, იყიდება სატახტო გაზეთებიც. აქვე იყიდება ქუთათური გაზეთი „ფონი"

შკაფის გამგე ეარაშან კოპალეიშვილი.

იუმორისტულ ჰუმორულიარული, ილუსტრირებული, სურათებიანი ჟურნალი

„მათრახი და სალამური"

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით—2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალამურის" ალმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.

დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва «Шрома» Василію Болквадзе.